საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მამია III დადიანი

მამია III დადიანი (გ. 1533), ოდიშის ერისთავი 1512–33, ლიპარიტ II დადიანის ძე. 1533 იანვარში იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის თაოსნობით მ. III დ-მა გურიის ერისთავ მამია I გურიელთან ერთად ზღვით ჯიქეთში ილაშქრა. პირველ დღეს ბრძოლაში ქართველებმა გაიმარჯვეს, მეორე დღეს მ. III დ-სა და მის ლაშქარს შორის უთანხმოება ჩამოვარდა და ოდიშის ლაშქარმა ბრძოლის ველი დატოვა. ქართველები დამარცხდნენ. მ. III დ. მოწინააღმდეგეებმა ღალატით ჩაიგდეს ხელში და მოკლეს.

წყარო.: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები), ჯ. ოდიშელის გამოც., თბ., 1968.

ლიტ.: მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941; რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი მ., იმერეთის სამეფო (1462–1810 წწ.), თბ., 1989; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

თ. ბერაძე